რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№475/თ

„14“ სექტემბერი, 2023 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებზე დაზარალებული პირების (და მათი ოჯახის წევრების) უსაფრთხოების დაცვისა უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

რუსთავის საქალაქო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ევროკავშირის დაზარალებულთა უფლებების შესახებ დირექტივა ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, გენდერული ძალადობის, ახლო ურთიერთობაში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციის ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებულებზე და ადგენს ვალდებულებას შეიქმნას აუცილებელი პირობები, რათა შესაძლებელი იყოს დაზარალებულთა (და მათი ოჯახის წევრებს) და დამნაშავეს შორის კონტაქტის თავიდან აცილება იმ შენობაში, სადაც სისხლის სამართალწარმოება მიმდინარეობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართალწარმოება ასეთ კონტაქტს მოითხოვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია სასამართლოს შენობაში დაზარალებულთათვის ცალკე მოსაცდელი ოთახის და ისეთი პირობების შექმნა, რაც უზრუნველყოფს დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრების მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან, დაშინებისგან, შურისძიებისგან, მათ შორის, ემოციური ან ფსიქოლოგიური ზიანის საფრთხისგან დაცვას ჩვენების მიცემის დროს.

ევროკავშირის დაზარალებულთა უფლებების შესახებ დირექტივის განუხრელად შესრულების უზრუნველსაყოფად, თუ ბრალდების მხარემ მოახდინა დაზარალებულის ინდივიდუალურ შეფასება, რა დროსაც გათვალისწინებული იქნა დაზარალებულის პირადი მახასიათებლები, დანაშაულის კატეგორია და ხასიათი, დანაშაულის გარემოებები და გამოვლინდა ქვემოთ მოყვანილი საჭიროებები, რის შესახებაც ეცნობა სასამართლოს, დაზარალებულის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.

ვიხელმძღვანელე რა ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და ,,თ" ქვეპუნქტებით; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით; საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ საქმეებში დაზარალებულთა (და მათი ოჯახის წევრების) უსაფრთხოებისა და დაზარალებულთა უფლებების შესახებ დირექტივით გათვალისწინებული უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, თუ ბრალდების მხარემ მოახდინა დაზარალებულის ინდივიდუალურ შეფასება, რა დროსაც გათვალისწინებული იქნა დაზარალებულის პირადი მახასიათებლები, დანაშაულის კატეგორია და ხასიათი, დანაშაულის გარემოებები და გამოვლინდა ქვემოთ მოყვანილი საჭიროებები, რის შესახებაც ეცნობა სასამართლოს, დაზარალებულის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად განისაზღვროს შემდეგი ორგანიზაციული საკითხები:

1.1. დაზარალებულის (და მათი ოჯახის წევრების) საჭიროებების შესახებ ბრალდების მხარისგან წინასწარ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწე, ხოლო მისი არყოფნისას სხდომის მდივანი საკითხის მოსამართლესთან შეთანხმებისა და თანხმობის მიღების შემდეგ, სასამართლოს მენეჯერს და მანდატურის სამსახურის უფროსს დაუყოვნებლივ აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

ა) საქმის პროკურორის სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი;
ბ) დაზარალებულის სახელი და გვარი;
გ) განსახილველი საქმის სხდომის თარიღი და დრო;
დ) სხდომის დარბაზის ნომერი, რომელშიც უნდა გაიმართოს სხდომა;
ე) დაზარალებულის დაკითხვის ფორმა (დისტანციური თუ პირდაპირი);
ვ) სასამართლოს შენობაში შემოყვანის ფორმა (ცენტრალური შემოსასვლელი, თუ მისი გვერდის ავლით).

1.2. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მენეჯერი და მანდატურის სამსახურის უფროსი მიიღებს ინფორმაციას, რომ უზრუნველყონ დაზარალებულის და მისი თანმხლები პირის სასამართლოს შენობის ცენტრალური შემოსასვლელის გვერდის ავლით შემოყვანა, საქმეზე გამომსვლელ პროკურორთან უშუალო კონსულტაციის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას და უზრუნველყოფენ შემოსაყვანი პირის/პირების ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსასვლელიდან ან სასამართლოს ეზოში ქვეითად შემოსასვლელიდან შემოყვანას;

1.3. მიუხედავად დაზარალებულის (და მისი ოჯახის წევრის) სასამართლოს შენობაში შემოყვანის გზისა, დაზარალებული, თანმხლებ პირთან ერთად, პროცესის დაწყებამდე განთავსებული უნდა იქნას ცალკე გამოყოფილ ოთახში. აღნიშნული მიზნით, მიზანშეწონილობის (პროცესის ჩასატარებელი სხდომის დარბაზის მდებარეობის, შენობის ფოიეებში ხალხის სიმრავლის, სასამართლოს შენობაში არსებული ზოგადი მდგომარეობის და ამ მიზნებისთვის გამოყოფილი ოთახების გამოყენების შესაძლებლობის) გათვალისწინებით, გამოყენებული უნდა იქნეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის მე-2 სართულზე არსებული მედიაციის, მხარეთა სამუშაო ან არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებული ოთახები, ან შენობის პირველ სართულზე განთავსებული მანდატურის სამსახურის უფროსის სამუშაო ოთახი;

1.4. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს შენობაში შექმნილი ვითარების და წინასწარ ცნობილი გარემოებების გათვალისწინებით კატეგორიულად მიზანშეუწონელია სასამართლოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებული პირის სასამართლოს შენობის საჯარო სივრცეში გადაადგილება, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის განხილვის სხდომა სასურველია ჩატარდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის პირველ სართულზე არსებულ №4 სხდომის დარბაზში. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული პირი დაკითხვის დაწყებამდე უნდა განთავსდეს ნაფიცი მსაჯულებისთვის განკუთვნილ სათათბირო ან სასადილო ოთახში და სხდომის დარბაზში წარდგენილი იქნას ნაფიცი მსაჯულებისთვის გათვალისწინებული მარშუტით, ხოლო სხდომაზე დაკითხვის შემდეგ სხდომის დარბაზი დატოვოს იმავე მარშუტით;

1.5. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება დაზარალებულის დისტანციურად დაკითხვის თაობაზე:

ა) არასრულწლოვანთა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაკითხვის მიზნით გამოყენებულ იქნეს შენობის მე-2 სართულზე მდებარე არასრულწლოვნის საჭიროებებზე მორგებული გარემო;

ბ) სრულწლოვანი პირების დაკითხვის მიზნით გამოყენებულ იქნეს შენობის პირველ სართულზე მოწყობილი მცირე საოფისე სივრცე ან შენობის მე-2 სართულზე მდებარე მხარეთა სამუშაო ოთახი. მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებული გარემო;

1.6. მცირე საოფისე სივრცის, არასრულწლოვნის საჭიროებებზე მორგებული ოთახის, მხარეთა სამუშაო ოთახის ან დაზარალებულის და მისი თანმხლები პირის განთავსების სხვა ოთახის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახურის უფროსის მიერ დაზარალებულის სასამართლოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე განსაზღვრული მანდატური, რომელიც მუდმივად თან უნდა ახლდეს დაზარალებულს (მის თანმხლებ პირს), რათა თავიდან იქნას აცილებული რაიმე სახის არასათანადო ზეგავლენა დისტანციური სხდომის მიმდინარეობისას ან დაზარალებულის (მისი თანმხლები პირის) სასამართლოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას;

1.7. სასამართლო სხდომაზე დაკითხვის დასრულების შემდეგ დაზარალებული (მისი თანმხლები პირი) სასამართლოს შენობას ტოვებს იმავე მარშრუტით, რომლითაც შემოყვანილი იქნა ან წარმოშობილი საჭიროებების გათვალისწინებით უფრო უსაფრთხო მარშრუტით.

2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებზე დაზარალებული პირების (და მათი ოჯახის წევრების) უსაფრთხოების დაცვისა უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული საკითხების

განსაზღვრის შესახებ“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 15 მარტის №186/თ ბრძანება;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლებს და მოსამართლეებს;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარე